პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.
КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР
სამშაბათი, 8 თებერვალი, 1944 წ. № 27 (6921). ფასი 20 კაპ.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ მალინოვსკის

უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარებმა, ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლების დაწყების შემდეგ, გაარღვიეს გერმანელთა ძლიერ გამაგრებული თავდაცვა კრივოი როგის ჩრდილო-აღმოსავლეთით და ნიკოპოლის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე რაიონებში, ოთხი დღის შეტევითი ბრძოლების განმავლობაში წინ წაიწიეს 45-დან 60 კილომეტრამდე და გააფართოეს გარღვევა 170 კილომეტრამდე ფრონტით.

შეტევის მსვლელობაში ჩვენმა ჯარებმა დაამარცხეს მოწინააღმდეგის ოთხი ქვეითი და სამი სატანკო დივიზია, დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის დიდი კვანძი აპოსტოლოვო ნიკოპოლის დასავლეთით, რკინიგზის სადგური მარგანეცი ნიკოპოლის აღმოსავლეთით, გარდა ამისა, დაიკავეს 250-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი და გავიდნენ ქვემო დნეპრთან, ქალაქ ნიკოპოლის მახლობლად,

ამით ჩვენმა ჯარებმა დასავლეთისაკენ უკანდასახევი გზები გადაუჭრეს გერმანელთა დაჯგუფებას, ხუთზე მეტი ქვეითი დივიზიის შემადგენლობით, რომელიც ნიკოპოლის რაიონში მოქმედებს.

ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ ჩუიკოვის, გენერალ-ლეიტენანტ გლაგოლევის, გენერალ-ლეიტენანტ შაროხინის, გენერალ-ლეიტენანტ შლემინის, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ტანასჩიშინის, გენერალ-მაიორ გლაზუნოვის, გენერალ-ლეიტენანტ ფოკანოვის, გენერალ-ლეიტენანტ უტვენკოს, გენერალ-მაიორ რუჩკინის, გენერალ-მაიორ კოტოვის, გენერალ-მაიორ კუზნეცოვის ჯარებმა, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ ნედელინის, არტილერიის გენერალ-მაიორ პოჟარსკის, არტილერიის გენერალ-მაიორ რატოვის, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ ვოზნიუკის არტილერისტებმა და ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ სუდეცის, ავიაციის გენერალ-მაიორ ტოლსტიკოვის და ავიაციის გენერალ-მაიორ შევჩენკოს მფრინავებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად ის შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე უფრო გამოიჩინეს თავი ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „აპოსტოლოვოს“ და „ქვემო დნეპრის“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 6 თებერვალს, 21 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს ჩვენს მამაც ჯარებს, რომლებმაც გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვა.

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ყველა ჯარს, რომლებმაც განახორციელეს გარღვევა და რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ბრძოლებში აპოსტოლოვოსათვის და ქვემო დნეპრთან.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 6 თებერვალი.

საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭება წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების ოფიცერთა შემადგენლობისათვის

გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა და ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“ გადაეცა წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალთა 97 ოფიცერს. (საქდესი).

საზეიმო სხდომა სტალინგრადში

სტალინგრადი, 7 თებერვალი (საქდესი). გუშინ შედგა სტალინგრადის საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და წითელი არმიის წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი სტალინგრადთან გერმანელთა განადგურების პირველი წლისთავისადმი.

მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტისა და საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ჩუიანოვი. მან ვრცლად დაახასიათა სტალინგრადის ბრძოლის როლი და მნიშვნელობა სამამულო ომში — ბრძოლისა, რომელიც გერმანელ ფაშისტთა არმიის მზის ჩასვენებად იქცა. ჰიტლერელ დამპყრობთა ურდოებთან ბრძოლაში რკინისებური სიმტკიცე გამოიჩინეს 62-ე არმიის მეომრებმა, სახალხო ლაშქრის, სტალინგრადის ინდუსტრიული გიგანტების ბატალიონის — გამანადგურებელი ბატალიონის რაზმებმა. მათ წმიდად შეასრულეს სამშობლოს ბრძანება— დაიცვეს ვოლგის სიმაგრე. ამხ. ჩუიანოვი წინადადებას იძლევა ფეხზე ადგომით სცენ პატივი იმ მეომრების ნათელ ხსოვნას, რომლებმაც თავი დასდეს სტალინგრადისათვის, სამშობლოსათვის ბრძოლებში. ყველანი ფეხზე დგებიან.

— ეს იყო,—განაგრძობს ამხ. ჩუიანოვი,— სტალინგრადის სახელოვან ჯარისკაცთა გამძლეობის, სიმტკიცის, გულადობის, მასობრივი გმირობისა და მამაცობის გამარჯვება. ეს იყო ჩვენი მებრძოლების, ოფიცრებისა და გენერლების გამარჯვება. ეს იყო გამარჯვება საბჭოთა ზურგის სახელოვანი მშრომელებისა, რომლებიც სჭედდნენ სტალინგრადის მრისხანე იარაღს, ჩვენი ქალაქის — „კრასნი ოქტიაბრის“, სატრაქტორო ქარხნის, „ბარიკადების“ მუშების გამარჯვება. ეს იყო მოსკოვის, გორკის, ჩელიაბინსკის, მოლოტოვის, სვერდლოვსკის, ბაქოს გამარჯვება—მთელი ჩვენი საბჭოთა სამშობლოს გამარჯვება. ეს იყო ამხანაგ სტალინის მხედართმთავრული გენიის უდიდესი გამარჯვება, [illegible] მტრის განადგურების სტრატეგიული გეგმისა, რაც მან დასახა.

სხდომის ყველა მონაწილენი, ერთიანი გრძნობით მოცულნი, წამოდგებიან თავიანთი ადგილებიდან, ხანგრძლივი მქუხარე ტაშით მიესალმებიან დიდ სტალინს.

ამხ. ჩუიანოვი შემდეგ ლაპარაკობს იმაზე, თუ სტალინგრადელები, ასრულებენ რა ბელადისათვის ერთი წლის წინათ მიცემულ ფიცს, როგორ თავდადებით აღადგენენ თავიანთ ქალაქს, განუწყვეტლივ აძლიერებენ დახმარებას ფრონტისადმი. ისევე, როგორც უკვდავი თავდაცვის დღეებში, ახლაც, ვოლგის სიმაგრის აღორძინების დღეებში, სტალინგრადელებს მთელმა ჩვენმა ქვეყანამ გაუწია დახმარება.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა განსაკუთრებული აღფრთოვანებით მიიღეს მისალმების წერილი ამხანაგ სტალინისადმი და მისალმების დეპეშები სტალინგრადელი ფრონტელებისადმი.

საზეიმო სხდომის შემდეგ სტალინგრადის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ზიმენკოვმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით ორდენები და მედლები გადასცა მუშების, ინჟინრების, ტექნიკოსების, პარტიული და საბჭოთა მუშაკების დიდ ჯგუფს, რომლებიც დაჯილდოებული არიან ქალაქ სტალინგრადის გმირულ დაცვაში აქტიური მონაწილეობისათვის და ამასთან სიმტკიცისა და მამაცობის გამოჩენისათვის.

სხდომის მონაწილეებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს თეატრის ფოიეში მოწყობილი გამოფენა, მიძღვნილი ვოლგის სიმაგრის გმირული დაცვისა და აღორძინებისადმი. სხდომის მონაწილეებმა დაათვალიერეს საპატიო მახვილი, რომელსაც აქვს წარწერა რუსულ ენაზე: „სტალინგრადის მოქალაქეებს, ფოლადივით მტკიცეებს,—მეფე გეორგ VI-საგან ბრიტანელი ხალხის ღრმა ალტაცების ნიშნად“ და დროშა, რომელზედაც ამოქარგულია წარწერა სტალინგრადის გამარჯვებით ალტაცების შესახებ — ნორვეგიელი პატრიოტების საჩუქარი.

უკანასკნელი ცნობები

ჰიტლერელთა ტერორი და ძარცვა-გლეჯა ესტონეთში. საგანგებო წესები ლიტვაში

სტოკჰოლმი, 7 თებერვალი (საქდესი). შვედური გაზეთი „სვენსკა დაგბლადეტი“ იუწყება, რომ გერმანელ საოკუპაციო ხელისუფლების ბრძანებით დროებით ოკუპირებული საბჭოთა ესტონეთის მოსახლეობა ევაკუირებულ უნდა იქნას. ამავე დროს, როგორც გაზეთ „ნიუა დაგლიგტ ალეჰანდაში“ მოყვანილი დეპეშიდან ჩანს, გერმანელებმა „სასწრაფო წესით“ გამოაცხადეს მამრობითი მოსახლეობის მობილიზაცია არმიაში. მაგრამ ჰიტლერელთა ეს ცდა ესტონელ პატრიოტთა შეუპოვარ წინააღმდეგობას ხვდება: გაზეთ „აფტონტიდნინგენის“ ცნობით, ათასობით ესტონელები ტყეებში მიდიან და ესტონელ პარტიზანებს უერთდებიან. ფინური გაზეთ „უუსი სუომის“ ტალინელი კორესპონდენტის ცნობით, ესტონეთში „უკანასკნელ ხანს ტყეებში გამოჩნდნენ პარტიზანული რაზმები. რამდენიმე ასეთმა რაზმმა სცადა დაერღვია სარკინიგზო მიმოსვლა“.

გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ საბჭოთა ესტონეთში მოსახლეობის შეუჩვებელი ძარცვა-გლეჯა სწარმოებს. ფინური გაზეთი „უუსი სუომი“ სწერს, რომ გერმანიის არმიისათვის უკანასკნელ ხანს წაღებულ იქნა დიდძალი სურსათი. „ისეთი მეურნეობებიც კი, რომლებმაც ადრევე მთლიანად ჩააბარეს, რაც უნდა ჩაებარებინათ, —აღნიშნავს გაზეთი, — იძულებული გახდნენ მიეცათ სურსათი და პირუტყვი. მოსახლეობა ვალდებული იყო არმიის საჭიროებისათვის მიეცა ცხენები, ურმები, ველოსიპედები და თხილამურები“.

ტალინში, გაზეთ „ნიუა დაგლიგტ ალეჰანდას“ სიტყვით, მეტად დაძაბული მდგომარეობაა. „სპეციალური ნებართვის გარეშე, — სწერს გაზეთი,—არავის არა აქვს უფლება დასტოვოს ქალაქი ან იქ ჩავიდეს. ყველა გზა შეკრულია. კერძო მიმოსვლა რკინიგზებით მთლიანად შეწყვეტილია“.

ქალაქში, გაზეთ „უუსი სუომის“ ცნობით, დახურულია ყველა სკოლა. მათში განლაგებული არიან სამხედრო ნაწილები.

სტოკჰოლმი, 7 თებერვალი (საქდესი). შვედური გაზეთი „სტოკჰოლმს ტიდნინგენი“ იმოწმებს ცნობას კაუნასის რადიოსას, რომელსაც გერმანელები უწევენ კონტროლს, და გადმოგვცემს, რომ ჰიტლერელმა ხელისუფლებამ მთელ ლიტვაში საგანგებო წესები გამოაცხადა.

გენერალ ანდერსის რეპრესიული ზომები

სტამბოლი, 7 თებერვალი (საქდესი). სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობებით, იერუსალიმში მყოფ პოლონელ სამხედრო ხელისუფლებას სამი თვეა დაპატიმრებული ჰყავს გენერალ ანდერსის პოლონელთა არმიის 50 ოფიცერი და ჯარისკაცი. დაპატიმრებულთა ერთადერთი „დანაშაული“ ის არის, რომ მათ მოსკოვში პოლონელ გენერალ-მაიორ ბერლინგის სახელზე გაგზავნეს დეპეშა, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ მათ, როგორც პოლონელ პატრიოტებს, სურთ იბრძოლონ გერმანელთა წინააღმდეგ პოლონეთის საზღვრის მახლობლად. და აღნიშნული იყო, რომ გზა პოლონეთისაკენ უფრო მოკლეა სმოლენსკით, ვიდრე რომით. დეპეშის ხელმომწერნი ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ პოლონეთის მომავალი დამოკიდებულია საბჭოთა კავშირთან მეგობრობასა და მჭიდრო თანამშრომლობაზე. დაპატიმრებულთა შორის არიან პოდპოლკოვნიკი ზავადოვსკი, კაპიტანი ინოში, ლეიტენანტი ბარანსკი და სხვები. კადრის ოფიცრებთან ერთად დაპატიმრებულთა შორის არიან ყოფილი ადვოკატები, ექიმები, სახელმწიფო მოხელეები და პედაგოგები, რომლებიც შევიდნენ არმიაში. სამი მათგანი ქალია. დაპატიმრებულნი უკანასკნელ დრომდე დამწყვდეულნი იყვნენ იერუსალიმში, სომეხთა მონასტერში, რომელიც გადაქცეულია საპყრობილედ, და მათ ცუდად ეპყრობოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთი დაპატიმრებული — ზულკოვსკაია — მძიმედ არის ავად, იგი ისევ საპყრობილეშია.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
6 თებერვლის ოპერატიული ცნობიდან

6 თებერვლის განმავლობაში ნარვის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა სავსებით გასწმინდეს მოწინააღმდეგისაგან მდინარე ნარვის აღმოსავლეთი ნაპირი ქალაქ ნარვის ჩრდილოეთით და სამხრეთით.

სივერსკის სამხრეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი.

როვნოს დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს როვნოს ოლქის რაიონული ცენტრები ოსტროჟეცი, მლინოვი, მიზოჩი, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს რამდენიმე სხვა დასახლებული პუნქტი.

ზვენიგოროდკისა და შპოლის ჩრდილოეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს მოწინააღმდეგის გარშემორტყმული დაჯგუფების მოსასპობად და, ავიწროებდნენ რა გარემოცვის რკალს, დაიკავეს დასახლებული პუნქტები დრაბოვკა, ბურტი, პეტროპავლოვკა, ოლხოვეცი, ბერკოზოვკა, კლიუჩნიკი. ამავე დროს ზვენიგოროდკის დასავლეთით ჩვენი ჯარები წარმატებით იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ტანკებისა და ქვეითი ჯარის იერიშებს, რომელნიც ისწრაფოდნენ გამოჭრილიყვნენ გარშემორტყმული დაჯგუფების დასახმარებლად.

რამდენიმე დღის წინათ უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარებმა, რომელნიც შეტევაზე გადავიდნენ კრივოი როგის ჩრდილო-აღმოსავლეთით და ნიკოპოლის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე რაიონებიდან, გაარღვიეს გერმანელთა ძლიერ გამაგრებული თავდაცვა, ოთხი დღის შეტევითი ბრძოლების განმავლობაში წინ წაიწიეს 45-დან 60 კილომეტრამდე და გააფართოვეს გარღვევა 170 კილომეტრამდე ფრონტით. შეტევის მსვლელობაში ფრონტის ჯარებმა დაამარცხეს გერმანელთა ოთხი ქვეითი და სამი სატანკო დივიზია, დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის დიდი კვანძი აპოსტოლოვო, რკინიგზის სადგური მარგანეცი და მიადგნენ ქვემო დნეპრს ქალაქ ნიკოპოლის ახლოს. ამით ჩვენმა ჯარებმა დასავლეთისაკენ უკანდასახევი გზები მოუჭრეს გერმანელთა დაჯგუფებას, რომელიც ხუთი ქვეითი დივიზიისაგან შესდგებოდა და ნიკოპოლის რაიონში მოქმედებდა. გარდა ამისა, ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს 250-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი და მათ შორის დნეპროპეტროვსკის ოლქის რაიონული ცენტრი სოფიევკა, დიდი დასახლებული პუნქტები ზელენო-პოლე, კნიაზ-ივანოვკა, ნოვო-ვიტებსკი, ზლატოუსტოვკა, ეკატერინოვკა, მიხაილოვკა, მალო-ვორონცოვკა, კამენკა, ბოლშაია კოსტრომკა, შოლოხოვო, ხმელნიცკი, ალექსანდროპოლი, ვისოკაია, დმიტრიევკა, ბორისოვკა, გოროდიშჩე და რკინიგზის სადგურები სპოკოისტვიე, დევლადოვო, პავლოპოლიე, ჟელტო-კამენკა, მიროვაია, მარგანეცი. ამ ბრძოლებში ჩვენმა ჯარებმა მოსპეს: გერმანელთა 128 ტანკი, 160 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 245 ტყვიამფრქვევი. მოწინააღმდეგემ ბრძოლის ველზე დასტოვა 12.000-ზე მეტი ჯარისკაცისა და ოფიცრის გვამი. ამავე ხნის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა წინასწარი ცნობებით ხელთ იგდეს შემდეგი დავლა: 65 ტანკი, 435 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 156 ნაღმსატყორცნი, 390 ტყვიამფრქვევი, 5.312 ავტომანქანა, 49 ტრაქტორი და საწევარი, 655 საზიდარი სამხედრო ტვირთიანად, 16 სხვადასხვა საწყობი. ჩამოთვლილი დავლიდან მარტო აპოსტოლოვოს რაიონში ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს: 45 ტანკი, 130 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 15 თვითმავალი ქვემეხი, მათ შორის 4 ქვემეხი „ფერდინანდის“ ტიპისა, 25 საზენიტო ქვემეხი, 3.000 ავტომანქანა, 14 ორთქლმავალი, დიდძალი ვაგონი და დიდი საწყობები საომარ მასალიანად, სურსათიანად და სანივთო ქონებიანად. ტყვედ წამოყვანილია 2.000-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ფრონტის სხვა უბნებზე ზვერვა, საარტილერიო-ნაღმსატყორცნო სროლა და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებია.

5 თებერვლის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 92 ტანკი, საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 30 თვითმფრინავი, მათ შორის 17 სამმოტორიანი სატრანსპორტო თვითმფრინავი „იუ-52“.

* * *

7 თებერვლის ოპერატიული ცნობა

7 თებერვლის განმავლობაში სივერსკის სამხრეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს დასახლებული პუნქტები ნატალინო, პელკოვო, ჩერემნა, დაბა ჩოლოვო, პესოჩნი მოხი, შუკოგოლოვო, მოროვინო, გუტკოვო, ერიშევო და რკინიგზის სადგური ჩოლოვო.

ნოვოსოკოლნიკის ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები ეწეოდნენ შეტევითს ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს 80-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დასახლებული პუნქტები ზინცოვო, არტიმონოვო, ფეტინინო, ვაშკი, გოსტილოვო, სემიონოვო, რიკშინო.

ზვენიგოროდკისა და შპოლის ჩრდილოეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს მოწინააღმდეგის გარშემორტყმული დაჯგუფების მოსასპობად, ავიწროებდნენ გარემოცვის რკალს და დაიკავეს დასახლებული პუნქტები პოპოვკა, მეჟირიჩი, ბოლშოე სტაროსელიე, ვიაზოვოკი, კლიჩკოვო.

დნეპრის მოსახვევში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს მოწინააღმდეგის იმ დაჯგუფების მოსასპობად, რომელიც მოწყვეტილია ნიკოპოლის რაიონში, და ბრძოლებით დაიკავეს დასახლებული პუნქტები ნოვოივანოვკა, მაქსიმოვსკი, კრასნოგრიგორიევკა, ნოვო-პავლოვკა, დოვგალევკა. ჩვენი ჯარები აღმოსავლეთიდან ზედ მიადგნენ ქალაქ ნიკოპოლს და გააჩაღეს ბრძოლები ქალაქის განაპირა უბანში.

ფრონტის სხვა უბნებზე ზვერვა, საარტილერიო-ნაღმსატყორცნო სროლა და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებია.

6 თებერვლის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 58 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 71 თვითმფრინავი.

* * *

ჩვენი თვითმფრინავების მასირებული თავდასხმა ქ. ჰელსინკზე

6 თებერვალს ღამით ჩვენი ბომბდამშენების დიდმა ჯგუფმა მოახდინა მასირებული თავდასხმა ქ. ჰელსინკზე. ქ. ჰელსინკში დაბომბილ იქნა მოწინააღმდეგის სამხედრო-სამრეწველო ობიექტები, რკინიგზის კვანძი, ნავსადგური და ქალაქის ცენტრალური ნაწილი.

დაბომბვის შედეგად, ჩვენი თვითმფრინავების ეკიპაჟთა დაკვირვებით, გაჩნდა 30-ზე მეტი ხანძარი, რასაც თან სდევდა ძლიერი აფეთქებანი. დიდი ხანძრები გაჩნდა გაზსაცავის, სამხედრო ყაზარმების, ელექტრომექანიკური ქარხნის რაიონში, ვაგზლის რაიონში, სადგურისა და დეპოს ტერიტორიაზე. დიდი ძალის აფეთქებანი იყო შემჩნეული გემსაშენი ქარხნისა და მშრალი დოკის რაიონში, აგრეთვე ავტოსაამწყობო ქარხნის ტერიტორიაზე. ხანძრების ალს ჩვენი მფრინავები ხედავდნენ სამიზნოდან გამობრუნებისას 150 კილომეტრ მანძილზე.

7 თებერვალს, დღისით ჩატარებულმა საჰაერო დაზვერვამ გამოარკვია, რომ ჰელსინკში გაჩენილი ხანძრები ლიკვიდირებული არ არის, ქალაქი კვლავ იწვის და კვამლშია გახვეული.

ოთხი ჩვენი თვითმფრინავი თავის ბაზებში არ დაბრუნებულა.

• • •

სადგურ სივერსკის სამხრეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ. ერთ უბანზე ნ ნაწილის მებრძოლებმა მოახდინეს გაბედული შემოვლითი მანევრი და განდევნეს მოწინააღმდეგე სამი დასახლებული პუნქტიდან. მოსპობილია ერთ ბატალიონამდე ჰიტლერელი. ხელთ ვიგდეთ, 2 ჯავშნიანი მანქანა, 7 ქვემეხი, ერთი ნაღმსატყორცნი ბატარეა, 24 ავტომანქანა და 6 საწყობი საომარ მასალიანად. სხვა რაიონში მოწინააღმდეგემ კონტრიერიში მოიტანა და ცდილობდა დაებრუნებინა მის მიერ დაკარგული პოზიციები. ჩვენი მებრძოლების ერთმა ნაწილმა თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით მიწას გააკრა ჰიტლერელები და აკავებდა მათს წინ წამოწევას. ამ დროს სხვა ქვეგანაყოფები გერმანელთა ფლანგში მოექცნენ და მძაფრი დარტყმით უკუაგდეს ისინი. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 300-მდე გვამი.

ჩვენი ავიაცია ურტყამდა გერმანელთა ჯარებს, რომლებიც გზებით მიდიოდნენ. დღის განმავლობაში საბჭოთა მფრინავებმა მოსპეს მოწინააღმდეგის რამდენიმე ტანკი და ქვემეხი, 200-მდე ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, დაამტვრიეს რკინიგზის შემადგენლობა. გაჰფანტეს და ნაწილობრივ გაჟლიტეს მტრის ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

* * *

ქალაქ ნოვოსოკოლნიკის ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით ნ შენაერთის ნაწილებმა უეცრად დაარტყეს გერმანელებს და გაარღვიეს მათი თავდაცვა. ჩვენმა ჯარებმა განავითარეს წარმატება და დაიკავეს 80-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. ბრძოლების მსვლელობაში მოსპობილია მტრის 3 ათასამდე ჯარისკაცი და ოფიცერი. მოწინააღმდეგეს წავართვით 57 ქვემეხი, 15 ნაღმსატყორცნი, 118 ტყვიამფრქვევი, 11 ცეცხლსატყორცნი, 8 რადიოსადგური, 22 სხვადასხვა საწყობი და სხვა დავლა. ერთ დასახლებულ პუნქტში ჩვენმა ქვეგანაყოფებმა გაანადგურეს გერმანელთა საარტილერიო პოლკის შტაბი და ხელთ იგდეს რვა 150-მილიმეტრიანი ქვემეხი. აგრეთვე საომარი მასალების დიდი საწყობი. წამოყვანილია ტყვეების მნიშვნელოვანი რაოდენობა.

* * *

ქალაქების — ზვენიგოროდკისა და შპოლის ჩრდილოეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ მოწინააღმდეგის გარშემორტყმული დაჯგუფების ლიკვიდაციისათვის. ნ შენაერთის ნაწილები ავიწროებდნენ გარემოცვის რკალს და განდევნეს გერმანელები სამი დასახლებული პუნქტიდან. ამ პუნქტებისათვის ბრძოლაში მოსპობილია 600 ჰიტლერელი. ხელთ ვიგდეთ 2 თვითმავალი და 20 საველე ქვემეხი, საომარი მასალების საწყობი და 40 ავტომანქანა. ჩვენი სხვა შენაერთის ნაწილები გარს შემოერტყნენ გერმანელთა გარნიზონს დასახლებულ პუნქტ ვიაზოვოკში და ხანმოკლე ბრძოლის შედეგად მოსპეს იგი. განადგურებული გარნიზონის ნაშთები 200 გერმანელი ჯარისკაცის რაოდენობით წამოყვანილია ტყვედ. ქალაქ ზვენიგოროდკის დასავლეთით მოწინააღმდეგემ მოიშველია რეზერვები და კვლავ სცადა გამოჭრილიყო თავისი გარშემორტყმული დაჯგუფების დასახმარებლად. კონტრდარტყმით ჩვენმა ჯარებმა უკუაგდეს ჰიტლერელები. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 800-მდე გვამი. დამწვარი და დაზიანებულია გერმანელთა 32 ტანკი. უკანდახევისას გერმანელებმა მიატოვეს 22 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, 4 საწევარი, დიდძალი ტყვიამფრქვევი და ავტომატი.

• • •

უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარები წარმატებით შეტევას ავითარებდნენ. ქალაქ აპოსტოლოვოს სამხრეთით ნ შენაერთის ნაწილებმა ბრძოლებით დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები. დამარცხებული და დეზორგანიზებული გერმანელთა ნაწილები სტოვებენ ტექნიკასა და საჭურველს და უკან იხევენ. ჩვენმა გვარდიელებმა, რომლებმაც დაიკავეს დასახლებული პუნქტები ბოლშაია კოსტრომკა, პერვომაისკი და ნოვო-სემიონოვკა, ხელთ იგდეს 306 ავტომანქანა, 22 მოტოციკლი, 200 ცხენი საზიდრებიანად, 215 ტყვიამფრქვევი, 2 ბენზინსაცავი, 7 ჯავშანტრანსპორტიორი და 6 საწყობი. ნ შენაერთის მებრძოლებმა დღეს გერმანელებს წაართვეს 41 ქვემეხი, 5 საწევარი, 203 ავტომანქანა, 3 რადიოსადგური და სხვა დავლა. ბევრი გერმანელი ტყვედ დაგვნებდა. ქალაქ ნიკოპოლის რაიონში ჩვენმა ჯარებმა მოწინააღმდეგეს დასავლეთით უკანდასახევი გზა გადაუჭრეს და ბრძოლებს ეწეოდნენ მტრის დაჯგუფების ლიკვიდაციისათვის. გერმანელები, რადაც უნდა დაუჯდეთ, ცდილობენ შეაჩერონ საბჭოთა ჯარები ნიკოპოლის მისადგომებზე, მიწაში ფლავენ ტანკებს, თვითმავალ ქვემეხებს და იყენებენ მათ უძრავ საცეცხლე წერტილებად. მარჯვე მანევრებით ჩვენი ნაწილები ფლანგებიდან ერტყმიან მოწინააღმდეგეს და შეუპოვარ ბრძოლებში სპობენ მის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას. დღეს ჩვენი ჯარები ზედ მიადგნენ ნიკოპოლს და ბრძოლებს ეწევიან ქალაქის განაპირა უბნებში.

• • •

კამენეც-პოდოლსკის ოლქში მოქმედი პარტიზანული რაზმი ღამით უეცრად დაესხა თავს მოწინააღმდეგის რკინიგზის დიდ სადგურს. საბჭოთა პატრიოტებმა ააფეთქეს და დააზიანეს 20 ორთქლმავალი, დაანგრიეს ყველა შესასვლელი და გასასვლელი ისარი, დასწვეს 13 ცისტერნი საწვავიანად და კავშირგაბმულობის კვანძი. კამენეც-პოდოლსკის სხვა რაზმის პარტიზანთა ჯგუფმა ლიანდაგიდან გადააგდო გერმანელთა ჯავშნიანი მატარებელი.

პ. კ. პონომარენკო—ბელორუსიის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე

გომელი, 7 თებერვალი (საქდესი). ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 7 თებერვლის ბრძანებულებით ამხ. პ. კ. პონომარენკო დანიშნულია ბელორუსიის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ.

ამხ. ი. ს. ბილინსკი დანიშნულია ბელორუსიის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

საქდესი უარყოფს

ამ უკანასკნელი კვირის განმავლობაში უცხოეთის პრესა განაგრძობს იმის მტკიცებას, რომ საბჭოთა მთავრობა მოლაპარაკებას აწარმოებს ფინეთთან სეპარატული ზავის შესახებ და რომ თითქოს საბჭოთა კავშირს ულტიმატუმი წარუდგინოს ფინეთისათვის.

საქდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ ეს ცნობები ოდნავადაც არ შეესაბამება სინამდვილეს.

ახალი გამარჯვებებით ვუპასუხოთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესიის ისტორიულ გადაწყვეტილებებს

თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხანაში

ღრმა კმაყოფილების გრძნობით შეხვდნენ თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხნის მუშა-მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკოსები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ კანონებს. უმაღლესი საბჭოს X სესიის ისტორიული გადაწყვეტილებების გაცნობის მიზნით ქარხნის საამქროებში ჩატარდა აგიტატორთა საუბრები.

— საბჭოთა ხალხი, რომელიც ლენინ-სტალინის დიადი დროშის გარშემო შემჭიდროებულია ისე, როგორც არასოდეს არ ყოფილა, ერთსულოვნად უჭერს მხარს ახალ სახელმწიფოებრივ გარდაქმნებს. — განაცხადა აგიტსაუბრის დროს თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხნის მექანიკური საამქროს სტახანოველმა ამხ. ა. ბალდასაროვმა, როდესაც გაეცნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესიაზე ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მიერ გაკეთებული მოხსენების ტექსტს.

— სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ახალი კანონები მძლავრად ჩასცემენ ლახვარს პირსისხლიან ჰიტლერელ არამზადებს, — ამბობს № 5 საამქროს სტახანოველი ხიზანაშვილი. ამ ისტორიული გადაწყვეტილებების პასუხად ამხ. ხიზანაშვილმა მთელი კოლექტივის აზრი გამოსთქვა, როცა ვალდებულება იკისრა, რომ ქარხანა თებერვლის დავალებას თვალსაჩინო გადაჭარბებით შეასრულებს.

ისტორიულ გადაწყვეტილებებს ერთსულოვნად იწონებენ

ცხაკაია („კომუნისტის“ საკ. კორ.). რაიონის მშრომელები ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესიის ისტორიულ გადაწყვეტილებებს საჯარისო ფორმირებათა შექმნისა და საგარეო ურთიერთობის დარგში მოკავშირე რესპუბლიკებისათვის უფლებამოსილობის მინიჭების შესახებ. რაიონის წარმოება-დაწესებულებებში ჩატარდა ხალხმრავალი მიტინგები და კრებები, რომლებზეც განიხილეს ეს ისტორიული გადაწყვეტილებები.

რკინიგზის სადგურში ჩატარებულ მიტინგზე მგზნებარე სიტყვა წარმოსთქვა მეექვსე სასტატოს სტახანოველმა ბრიგადირმა ა. კარანაიამ. მან განაცხადა, რომ მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა და ამოცანათა გაფართოება კიდევ უფრო განამტკიცებს საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობას, დააჩქარებს ფაშიზმის საბოლოო განადგურებას. ამ ისტორიულ გადაწყვეტილებათა საპასუხოდ ვალდებულებას ვკისრულობ ჩემი ბრიგადა ორასიანი გავხადო. სიტყვებით გამოსულმა სტახანოველებმა ყ. ცაავამ, ი. ბჟალავამ, დ. კაკაბაძემ და სხვებმა ყოველდღიურ საწარმოო დავალებათა 200 პროცენტით შესრულება იკისრეს.

სადგურის კოლექტივმა იკისრა: არ დაუშვას წუნის, ავარიის და მარცხის შემთხვევები, ვაგონების მოცდენა დაიყვანოს 7 საათამდე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12,5 საათისა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესიის გადაწყვეტილებათა საპასუხოდ ცხაკაიის რაიონის ხე-ტყის მრეწველობის მუშაკებმა იკისრეს 1944 წლის პირველი კვარტალის საწარმოო გეგმა ვადაზე 20 დღით ადრე შეასრულონ.

ახალი საწარმოო ვალდებულებანი იკისრეს რძის გადამამუშავებელი ქარხნის, უშაფათის ჩაის ფაბრიკის, ცხაკაიას საპნის ქარხნის და სხვა საწარმოთა კოლექტივებმა.

ჩვენი ძალისა და ძლიერების მკაფიო გამოხატულება

ხაშური. (საქდესი). ხაშურის რაიონის მშრომელებში გაცხოველებით მიმდინარეობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესიის მასალების განხილვა. ხაშურის საწარმოთა საამქროებსა და ბრიგადებში მიდიან აგიტატორები, წამკითხველები, მესაუბრეები, რომლებიც მუშებს აცნობენ ისტორიულ გადაწყვეტილებებს.

მშრომელები ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ ამხანაგ მოლოტოვის მოხსენებას და კანონებს თავდაცვის სახალხო კომისარიატისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატებიდან საკავშირო-რესპუბლიკურ სახალხო კომისარიატებად გარდაქმნის შესახებ.

— სესიის ისტორიული გადაწყვეტილებანი, — ამბობს ხაშურის საორთქლმავლო დეპოს ოსტატი ამხ. ლომიძე, — კიდევ უფრო განამტკიცებენ ჩვენს წითელ არმიას, მოაახლოებენ მტერზე საბოლოო გამარჯვების ჟამს. ჩვენი მოვალეობაა დავაჩქაროთ ეს გამარჯვება სტახანოვური შრომით. მთელი ბრიგადის სახელით ვიღებ ვალდებულებას ცვლაში არანაკლებ ერთნახევარი ნორმა გამოვიმუშაო.

საუბარმა აქტიურად ჩაიარა მექანიკურ საამქროში. ოსტატმა ამხ. კვირიამ სთქვა:

— სესიის მიერ დამტკიცებული 1944 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი აახლოებს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა საბოლოო განადგურების ჟამს. კიდევ უფრო მეტად განამტკიცებს ჩვენი მშობლიური წითელი არმიის ძალასა და ძლიერებას. უზრუნველჰყოფს სოციალისტური კულტურისა და მეურნეობის შემდგომ განვითარებას.

მცხეთელ კოლმეურნეთა ახალი ვალდებულებანი

მცხეთა. რაიონის კოლმეურნეობებსა, საწარმოებსა და დაწესებულებებში დიდი აქტივობით ტარდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესიის გადაწყვეტილებებისა და ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის მოხსენების განხილვისადმი მიძღვნილი წაკითხვა-საუბრები და კრებები. რაიონის მშრომელები იწონებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესიის ისტორიულ გადაწყვეტილებებს თავდაცვის სახალხო კომისარიატისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატებიდან საკავშირო-რესპუბლიკურ სახალხო კომისარიატებად გარდაქმნის შესახებ და ახალ სოციალისტურ ვალდებულებებს კისრულობენ.

სოფ. წეროვნის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა იკისრეს სანიმუშოდ მოამზადონ საგაზაფხულო სათესლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის, ვადაზე ათი დღით ადრე, მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩაატარონ საგაზაფხულო თესვა, მიაღწიონ მაღალი მოსავლის მიღებას — ჰექტარზე მიიღონ 10 ცენტნერი მარცვლეული, შარშანდელზე ერთი ცენტნერით მეტი.

მცხეთის მტს-ის დირექტორმა მედალოსანმა ამხ. ტალახაძემ მთელი კოლექტივის სახელით აიღო ვალდებულება ტრაქტორების რემონტის გეგმა დაამთავროს ვადაზე 20 დღით ადრე და გადაჭარბებით შეასრულოს საგაზაფხულო სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა. კონკრეტული ვალდებულებანი იკისრეს ამხ. ბულასაშვილმა, ირემაშვილმა და სხვებმა (საქდესი).

გენერალ ვატუტინის ჯარების დიდი გამარჯვება

უკრაინის 1-ლი ფრონტი, 5 თებერვალი (საქდესის სპეც. კორ.). იანვარმა უკრაინაში გაიარა გაფთრებულ ბრძოლებში, რომლებიც არ სწყდებოდა არც დღისით, არც ღამით. გერმანელებს განუწყვეტლივ მოჰქონდათ კონტრიერიშები. ცდილობდნენ უკან დაებრუნებინათ დაკარგული პოზიციები, უკან დაეხევინებინათ წითელი არმიის ნაწილებისათვის. მაგრამ მტერი ყველგან ჩვენი მეომრების მედგარ წინააღმდეგობას აწყდებოდა, უდიდესი ზარალი მოსდიოდა, საკუთარ სისხლშივე იხრჩობოდა და უკან მიექანებოდა.

ჩვენი ნაწილები იგერიებდნენ კონტრიერიშებს, ჰქანცავდნენ მოწინააღმდეგეს და წინ მიიწევდნენ. ბოლოს დაარტყეს მტერს უკრაინის დიდი საოლქო ცენტრების — ქალაქ როვნოს და ლუცკის რაიონში.

როცა წითელი არმიის ნაწილებმა იერიში დაიწყეს, გერმანელებმა შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს მათ. ისინი ყველაფერს მიმართავდნენ, რათა შეეჩერებინათ შეტევა: ტყეებს ხერხავდნენ, გზებს ნაღმავდნენ, გზაჯვარედინებზე წინააღმდეგობის კერებს ჰქმნიდნენ. მიუხედავად ყველა ღონისძიებისა, გერმანელებმა ვერ მოახერხეს საბჭოთა ჯარების შეტევის შეჩერება. მოწინააღმდეგის თავდაცვა გარღვეულ იქნა სწრაფი დარტყმით. გარღვეულ ადგილში გაეშურნენ მოძრავი ნაწილები. მათ გონს მოსვლის საშუალება არ მისცეს მტერს, წინ გაემართნენ. თავიანთ გზაზე მტრის წვრილ-წვრილ გარნიზონებს სპობდნენ და უშუალოდ მიადგნენ ქალაქ ლუცკს. აქ გაიმართა ღამის ბრძოლა. მტრის გარნიზონი, რომელიც საბჭოთა ნაწილების გამოჩენას არ მოელოდა დაიბნა. მეავტომატეთა ჯგუფები გადიოდნენ მოწინააღმდეგის საბრძოლო წყებებში, ურტყამდნენ მას ზურგიდან, ფლანგებიდან, შლიდნენ მისი თავდაცვის სისტემას. დილისათვის ლუცკი სავსებით გაწმენდილ იქნა გერმანელ ფაშისტთა ჯარებისაგან. ქალაქის ქუჩებში დარჩა ჰიტლერელთა მრავალი გვამი და დიდძალი საბრძოლო ტექნიკა.

ამავე დროს საბჭოთა ნაწილები ქალაქ როვნოს მიადგნენ ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან. ფრონტალური იერიშის მოჩვენებით მათ იწყეს ქალაქის გარშემორტყმა ყველა მხრიდან და მალე დაეუფლნენ ყველა გზატკეცილსა და ყამირგზებს. გერმანელთა გარნიზონს გადაჭრილი ჰქონდა როგორც უკან დასახევი, ისე მაშველი ძალების მისასვლელი გზა. სწრაფი დარტყმის შედეგად ქალაქი როვნო დაიკავეს ჩვენმა ნაწილებმა.

მოძრავი შენაერთებისა და ქვეითი ჯარის ასეთივე სწრაფი დარტყმით მოწინააღმდეგე განდევნილ იქნა ქალაქ და მნიშვნელოვან სარკინიგზო კვანძ ზდოლბუნოვიდან.

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა არმიის გენერალ ვატუტინის სარდლობით ახალი დიდი გამარჯვება მოიპოვეს. ქალაქები როვნო და ზდოლბუნოვი დიდი სარკინიგზო კვანძებია. აქ გადის რკინიგზები და გზატკეცილები ბერდიჩევისაკენ სარნისაკენ, კოველისა და ლვოვისაკენ. არანაკლები მნიშვნელობა აქვს ქალაქ ლუცკსაც, ვოლინის გზების დიდ კვანძს, რომელიც 130 კილომეტრზე მდებარეობს ლვოვის ჩრდილო-აღმოსავლეთით. დაიკავეს რა ლუცკი, საბჭოთა ჯარებმა გადალახეს სერიოზული წყლის ზღუდე—მდინარე სტირი მის სათავეში.

უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარების დიდი გამარჯვება

მოქმედი არმია, 7 თებერვალი (საქდესის სპეც. კორ.). ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებში უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარები დღითი დღე მძლავრად ურტყამდნენ გერმანელებს, შეუპოვრად იჭრებოდნენ მათს თავდაცვაში, და, ბოლოს, დადგა დღე, როდესაც მოწინააღმდეგის ძლიერ გამაგრებული თავდაცვა კრივოი როგის ჩრდილო-აღმოსავლეთით და ნიკოპოლის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე რაიონებში გარღვეულ იქნა. გარღვეულ ადგილას მიაშურეს ჩვენმა ტანკისტებმა, ქვეითებმა, არტილერისტებმა. გაფთრებული კონტრიერიშებით, ბრძოლაში ახალი დიდი რეზერვების გამოყვანით მტერი ცდილობდა შეეჩერებინა წითელი არმიის ნაწილების სწრაფი შეტევა, მაგრამ ყველა ეს ცდა მთლიანად ჩაიფუშა.

ჩვენი შემტევი ჯარები აქ წააწყდნენ მტრის თავდაცვის მეტად რთულ და ძლიერ სისტემას. გარდა მრავალრიცხოვანი ძელმიწური საცეცხლე წერტილებისა, აქ იყო მძლავრი, კარგად აღჭურვილი რკინა-ბეტონის ხანგრძლივი საცეცხლე წერტილები. ყველა ეს ნაგებობა ერთმანეთთან დაკავშირებული იყო სანგარსასვლელების ხშირი ქსელით, რაც მოწინააღმდეგეს ცოცხალი ძალით თავისუფალი მანევრირებისა და თავისი ჯარებისათვის საომარი მასალის შეუფერხებლად მიწოდების შესაძლებლობას აძლევდა.

ამ გამაგრებული ზოლის გარღვევას წინ უძღოდა გულმოდგინედ ორგანიზებული საჰაერო და სახმელეთო დაზვერვა. შეტევის დასაწყისისათვის ჩვენს სარდლობას მოწინააღმდეგის სიმაგრეთა ხასიათის ნათელი სურათი ჰქონდა, და საბჭოთა არტილერისტებს შესაძლებლობა მიეცათ დამიზნებით [illegible] ცეცხლი წინასწარ დაზვერილი მიზნებისათვის.

ჩვენმა არტილერიამ გერმანელთა სიმაგრეებს მძლავრი გამანადგურებელი ცეცხლი დაუშინა. ჩვენი ქვემეხების ცეცხლი იმდენად შემუსვრელი იყო, რომ როდესაც ცეცხლის ტალღის კვალდაკვალ ჩვენი ქვეითი ჯარი საიერიშოდ დაიძრა, მტრის ბევრი საცეცხლე წერტილი აღარ არსებობდა. ისინი სახელოვანმა საბჭოთა არტილერისტებმა მოსპეს.

სახმელეთო ჯარების წარმატებას [illegible] შეუწყო ხელი ავიაციამ. საბჭოთა მფრინავები ბომბავდნენ მტრის საბრძოლო წყობებს, ურტყამდნენ მოწინააღმდეგის მახლობელ ზურგს, დიდ ზარალს აყენებდნენ მის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას.

დაძაბულ შეტევითს ბრძოლებში ჩვენი მებრძოლები და ოფიცრები მამაცობისა და მაღალი სამხედრო ოსტატობის ნიმუშებს გვიჩვენებდნენ.

შეტევითი ბრძოლების თითოეული დღე, ახალ გმირებს შობს. ლეიტენანტ ბობროვის ქვეგანაყოფი წინსვლისას მტრის ძლიერ ცეცხლს წააწყდა ერთი მაღლობის რაიონში. მაღლობზე გერმანელ მეავტომატეთა ასეული იმყოფებოდა. ბობროვის მებრძოლები გარშემოერტყნენ მაღლობს და წინადადება მისცეს ჰიტლერელებს დანებებულიყვნენ. მათ უარით უპასუხეს. მაშინ ქვეგანაყოფმა იერიში მიიტანა მაღლობზე და ხელჩართულ ბრძოლაში მოსპო გერმანელთა მეტი წილი, ხოლო 40 ჯარისკაცი და ორი ოფიცერი ტყვედ წამოიყვანა.

მამაცობის ნიმუში გვიჩვენა ყაზახმა ლეიტენანტმა შიმბერგენოვმა. იგი პირისპირ შეხვდა გერმანელთა ტანკს, ახლო მანძილზე მოუშვა იგი და მარჯვე სროლით ცეცხლი წაუკიდა მტრის მანქანას. ტანკიდან გადმომხტარი სამი გერმანელი შიმბერგენოვმა მოსპო, ხოლო ორი ტყვედ წამოიყვანა.

უკვდავი სახელი მოიხვეჭა უმცროს ლეიტენანტ შურგანოვის თვითმფრინავის ეკიპაჟმა. მოწინააღმდეგის ტანკებისა და ავტომანქანების კოლონაზე იერიშის მიტანის დროს მისი თვითმფრინავი დაზიანებულ იქნა. შურგანოვი თავისი თვითმფრინავით ეძგერა მტრის კოლონას. ცეცხლის ზღვა და დამსხვრეული ლითონის გროვა დარჩა იმ ადგილას, სადაც გმირები დაიღუპნენ.

ჩვენი ნაწილების სწრაფი წინსვლა, გამანადგურებელი დარტყმები, რასაც ისინი მოწინააღმდეგეს აყენებენ, გერმანელ ჯარისკაცთა შორის პანიკასა და დაბნეულობას იწვევს. სოფელ შუშულუკში ჩვენმა მებრძოლებმა ხელში ჩაიგდეს თავიანთი ნაწილიდან ჩამორჩენილი ჰიტლერელთა ჯგუფი. ერთ-ერთმა მათგანმა, უნტერ-ოფიცერმა მანუშ ბრუნომ აჩვენა:

— რუსების შემოტევის პირველ დღეს პოლკოვნიკმა ფონ-ვერმა გვიბრძანა შეგვენარჩუნებინა პოზიცია. რადაც უნდა დაგვჯდომოდა. მაგრამ ჩვენ ბრძანების მიუღებლად დავიხიეთ უკან. ჩემს ბატალიონში სამოცამდე კაცი დარჩა. ყველანი გულგატეხილობას შეუპყრია...

ჩვენი ჯარების შეტევა გრძელდება.

ა. სტეკოლნიკოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი მძლავრი დარტყმა გერმანელთა ჯარების წინააღმდეგ უკრაინაში

მოქმედი არმია, 3 თებერვალი (საკდესის სპეც. კორ.). განსაკუთრებული შეუპოვრობით ებღაუჭებოდნენ გერმანელები თავიანთ პლაცდარმს დნეპრის მარჯვენა ნაპირზე ქალაქ კანევის რაიონში. მაშინაც კი, როცა წითელი არმიის ნაწილები, ბელაია ცერკოვის რაიონიდან რომ უტევდნენ, შეუერთდნენ ქვეგანაყოფებს, რომელნიც ზუკრინის პლაცდარმს ინარჩუნებდნენ, ჰიტლერელთა სარდლობამ ხელი არ აიღო იმ აზრზე, რომ შეენარჩუნებინა პოზიციები კანევის რაიონში. გერმანელებმა აქ თავი მოუყარეს რამდენიმე ნაწილს, რომლებმაც ბრძანება მიიღეს რადაც უნდა დასჯდომოდათ შეენარჩუნებინათ დაკავებული ზღუდეები. მაგრამ მტერი ანგარიშში მოტყუვდა!

რამდენიმე დღის წინათ, უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ კიროვოგრადის ჩრდილოეთით მდებარე რაიონიდან. იმავდროულად უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარები თავს დაატყდნენ მტრის პოზიციებს ქალაქ ბელაია ცერკოვის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე რაიონიდან. იქაც და აქაც ყველა კალიბრის არტილერიამ მძლავრი ცეცხლით გასტეხა მოწინააღმდეგის თავდაცვა, მიწასთან გაასწორა გერმანელთა ათობით და ასობით ძელმიწური საცეცხლე წერტი და სხვა სიმაგრეები, მათ ნანგრევებში ჩამარხა არა ერთი ასეული გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ამავე დროს საბჭოთა თვითმფრინავების მრავალმა ესკადრილიამ გაფთრებით დაბომბა და სასტიკი იერიში მიიტანა არა მარტო წინა კიდეზე, არამედ მტრის უახლოეს ზურგზე, მის კომუნიკაციებზე.

ამის შემდეგ წინ გაეშურნენ საბჭოთა სატანკო ნაწილები, მათ მიჰყვნენ ქვეითები. ძლიერ გამაგრებულმა გერმანელთა თავდაცვამ ვერ გაუძლო ჩვენი ჯარების მძლავრ მიწოლას და იგი გარღვეულ იქნა. ეს გარღვევა დღითიდღე ღრმავდებოდა და ფართოვდებოდა. უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარები წინ მიიწევდნენ დასავლეთის მიმართულებით, აღმოსავლეთით კი მათ შესახვედრად მიდიოდნენ უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარები. შეუკავებლად მისწრაფოდნენ წინ ტანკისტები. ისინი ზურგში ეჭრებოდნენ მტერს, ანადგურებდნენ გერმანელთა ნაწილების შტაბებს, ჟლეტდნენ ჰიტლერელთა ცოცხალ ძალას, თავზარსა სცემდნენ მათ. ტანკისტების წარმატებებს განამტკიცებდნენ და ავითარებდნენ ქვეითები, რომელნიც მათ მიჰყვებოდნენ.

ზვენიგოროდკის, შპოლის რაიონში ორი ფრონტის ჯარები შეერთდნენ. ორივე ფრონტის ჯარებმა ხუთი დღის განმავლობაში 50-დან 75 კილომეტრამდე გაიარეს ერთმანეთის შესახვედრად თითოეული მიმართულებით. ამრიგად შეკრულ იქნა რკალი კიროვოგრად-შპოლა-ზვენიგოროდკის ხაზის ჩრდილოეთით მოქმედი გერმანელთა ჯარების დიდი დაჯგუფების გარშემო. „ქვაბში" მოემწყვდა გერმანელთა 9 ქვეითი დივიზია და ერთი სატანკო დივიზია. უშედეგოდ დამთავრდა გერმანელთა ცდები—თავი დაეღწიათ გარშემორტყმისათვის, აგრეთვე მათ მიერ ამ მიზნით მოტანილი გაფთრებული კონტრიერიშები. გარშემორტყმის რკალი მტკიცე, ურღვევი აღმოჩნდა.

შეტევის ხუთი დღის განმავლობაში საბჭოთა ჯარებმა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან გაათავისუფლეს 300-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ქალაქები ზვენიგოროდკა, შპოლა, სმელა, ბოგუსლავი, კანევი და რკინიგზის დიდი კვანძები ბობრინსკაია, ცვეტკოვო, მირონოვკა. მტერს კოლოსალური ზარალი მოუვიდა ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

შეუპოვარი იყო ბრძოლა მტრის წინააღმდეგობის დიდი კვანძის—სოფელ სამგოროდოკისათვის. აქ ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს გერმანელთა 20 ქვემეხი, ბევრი ტყვიამფრქვევი და სხვა იარაღი, წამოიყვანეს ტყვეები. დიდი დავლაა წამოღებული გერმანელთა დასაყრდენი პუნქტის სოფელ კანიჟიათვის წარმოებული ბრძოლის დროს.

გერმანელებს იმის იმედი ჰქონდათ, რომ მათი პოზიციები ამ რაიონში ხელსაყრელი იყო. ბრძოლების ასპარეზი გახდა ადგილი, რომელიც მეტად რთული იყო თავისი ტოპოგრაფიული პირობებით. ჰიტლერელებს აქ უხვად ჰქონდათ კომუნიკაციები, რომლებიც ადვილებდნენ ჯარების მომარაგებასა და გადაჯგუფებას. მათ მიერ გამაგრებული რაიონი გადიოდა დნეპრისპირა პლატოზე, რომელიც სამხრეთით დნეპრს აკრავს. დნეპრის შენაკადები მიმდინარეობენ ჩვენი ჯარების შეტევის გარდი-გარდმო, გრანიტის ციცაბო ნაპირებში, რომლებიც ღრმად შეჭრილან პლატოში. მექანიზებული ნაწილების მოქმედება ასეთ რელიეფში, თითქოს, მეტად შეზღუდული უნდა იყოს.

მიუხედავად შეტევის სიძნელეებისა, რასაც მკვეთრად დასერილი ადგილი ჰქმნიდა, მიუხედავად იმისა, რომ გერმანელებს აქ ძლიერ გამაგრებული პოზიციები ჰქონდათ, ჩვენმა ჯარებმა სწრაფ და გადამწყვეტ წარმატებას მიაღწიეს, და ერთხელ კიდევ ცხადჰყვეს თავიანთი მაღალი სამანევრო თვისებები, თავიანთი შეუკავებელი სისწრაფე, შეუპოვრობა მიზნის მიღწევაში. გერმანელთა დიდი დაჯგუფების გარშემორტყმის ოპერაცია, რაც გენიალურად იყო მოფიქრებული, იმდენადვე ბრწყინვალედ შესრულდა. გერმანელთა ჯარებმა უკრაინაში კიდევ ერთი გამანადგურებელი დარტყმა იგემეს.

ვიწროვდება გარემოცვის რკალი გერმანელთა დაჯგუფების გარშემო

მოქმედი არმია, 6 თებერვალი (საკდესის სპეც. კორ.). ქალაქ ზვენიგოროდკისა და შპოლის ჩრდილოეთით გარშემორტყმული გერმანელთა ჯარების დიდი დაჯგუფების მოსასპობად წარმოებულ ბრძოლებში განადგურებულია გერმანელთა 108-ე მოტოპოლკის მე-2 ბატალიონი. ბატალიონის მეთაური ფრანც ჰელმუტი წამოყვანილია ტყვედ. დაკითხვისას მან განაცხადა, ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა იციან, რომ ისინი „ქვაბში" მოხვდნენ, მაგრამ მიღებულია ბრძანება ვიბრძოლოთ უკანასკნელ კაცამდეო.

გერმანელები ყველა ღონისძიებას ხმარობენ, რომ გაარღვიონ ჩვენი ჯარების საბრძოლო წყობა და გაიყვანონ გარშემორტყმული დივიზიები. ამ მიზნით მოწინააღმდეგეს კონტრიერიშებზე გადმოჰყავს ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალები. მარტო ერთ ვიწრო უბანზე გერმანელებმა ბრძოლაში გამოიყვანეს რამდენიმე პოლკი ქვეითი ჯარი და ტანკების დიდი ჯგუფი, რომლებსაც ამოცანად დაუსახეს რადაც უნდა დასჯდომოდათ გაერთლიყვნენ გარშემორტყმულებთან. ამავე დროს ერთ პოლკამდე ქვეითი ჯარი და ტანკების დიდი ჯგუფი ისწრაფვოდა თავი დაეღწია გარემოცვის რკალისათვის. ჰიტლერელთა სარდლობის განზრახვა აშკარადაც ჩაიფუშა. გერმანელებმა მარტო ამ უბანზე რამდენიმე ათეული ტანკი დაჰკარგეს და იძულებული გახდნენ შეეწყვიტათ კონტრიერიშები.

ჰიტლერელთა რამდენიმე გაფთრებული კონტრიერიში მოიგერიეს აგრეთვე ნ შენაერთის არტილერისტებმა და ქვეითებმა. ერთ შემთხვევაში მოწინააღმდეგემ ჩვენი ჯარების პოზიციებს მოაყარა, გარდა ქვეითი ჯარისა, 70-მდე ტანკი, სხვა კონტრიერიშებში მონაწილეობდა გერმანელთა 50-60-მდე ტანკი და თვითმავალი ქვემეხი. ამ ბრძოლაში ფაშისტებმა დაჰკარგეს 24 ტანკი და მაინც ვერავითარ წარმატებას ვერ მიაღწიეს.

გერმანელები ძლიერ ცდილობენ კონტრიერიშებით მოძებნონ სუსტი ადგილი ჩვენი ჯარების პოზიციებში, მაგრამ ამას ვერ ახერხებენ. წითელი არმიის ნაწილები ფუშავენ მოწინააღმდეგის ყველა ცდას გააუმჯობესოს მდგომარეობა და კიდევ უფრო მჭიდროდ ავიწროებენ გარემოცვის რკალს გერმანელთა დაჯგუფების გარშემო.

ჩვენი ავიაცია წარმატებით ეწევა ბრძოლას მოწინააღმდეგის სატრანსპორტო თვითმფრინავებთან, რომლებითაც გერმანელებს თავიანთი გარშემორტყმული დივიზიებისათვის მიაქვთ საომარი მასალა, საწვავი და სურსათი.

ჰაერში მყოფმა მფრინავმა ლეიტენანტმა სურიკოვმა შეამჩნია გერმანელთა 30 სატრანსპორტო თვითმფრინავი, რომლებსაც ავიაგამანადგურებელთა დიდი ესკორტი ახლდა. „იუნკერს-52" თვითმფრინავები ძირდასაშვებად მიდიოდნენ. სურიკოვმა რადიოთი აცნობა ეს თავის აეროდრომზე, თვითონ კი მტერზე იერიში მიიტანა. ეს იმდენად გაბედული და ელვარი მოქმედება იყო, რომ გერმანელთა ავიაგამანადგურებლებმა ვერ მოასწრეს ხელი შეეშალათ საბჭოთა მფრინავისათვის. სურიკოვმა ცეცხლი წაუკიდა ერთ „იუნკერსს" ჯერ კიდევ ჰაერში, ხოლო მეორე მიწაზე მოსპო, მშვიდობიანად დააღწია თავი მდევარს და თავის აეროდრომს მიაღწია.

აეროდრომზე ამ დროს ასაფრენად ემზადებოდა ავიაგამანადგურებელთა ოთხი ჯგუფი. სურიკოვი სწრაფად გადაჯდა სხვა თვითმფრინავზე და პირველი ჯგუფი წაიყვანა იმ რაიონში, სადაც გერმანელთა სატრანსპორტო თვითმფრინავები დაეშვნენ. სამიზნესთან მიახლოებისას მფრინავებმა აღმოაჩინეს აეროდრომის ცოტა მოშორებით მოვირაჟირე მტრის ცხრა ავიაგამანადგურებელი. წამყვანმა უბრძანა თვითმფრინავთა ჯგუფს შებმოდა გერმანელთა ავიაგამანადგურებლებს, თვითონ კი სხვა მფრინავებთან ერთად აეროდრომზე იერიშის მისატანად წავიდა. რამდენიმე „იუნკერსმა" სცადა აფრენა. პირველი თვითმფრინავი დააზიანა სურიკოვმა, ხოლო მეორე სატრანსპორტო მანქანას ცეცხლი წაუკიდა უფროსმა ლეიტენანტმა ბაზანოვმა. სურიკოვის მფრინავებს ჯერ კიდევ არ დაემთავრებინათ იერიში, რომ აეროდრომის თავზე გამოჩნდა ჩვენი თვითმფრინავების კიდევ ერთი ჯგუფი, მას მოჰყვა მეორე, მესამე. მტერს უდიდესი ზარალი მოუვიდა.

ერთ-ერთ უბანზე მეზენიტეებმა ჩამოაგდეს გერმანელთა სატრანსპორტო თვითმფრინავი.

ზ. ოშაროვსკი
ა. მალიბაშევი

კალინკოვიჩის ჩრდილო-დასავლეთით

(მოსკოვი, „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

ამ სათაურით გაზეთ „სტალინსკი სოკოლში" 22 იანვარს დაიბეჭდა შაფერის კორესპონდენცია, რომელშიც იგი მოგვითხრობს ლეიტენანტ თვაურის მამაცობის შესახებ.

ფრენისთვის ხელსაყრელმა ამინდმა, რაც ამ უკანასკნელ დღეებში დადგა, კალინკოვიჩის ჩრდილო-დასავლეთით საშუალება მისცა ჩვენს ავიაციას აქტიურად დახმარებოდა სახმელეთო ჯარებს. მტერს ურტყამენ ყველა სახის ავიაციის მფრინავები. მოიერიშე ბომბდამშენები სპობენ მოწინააღმდეგის არტილერიას, ავტომანქანებს, ჯარებს, უშენენ რკინიგზის სადგურებს. მოიერიშე ბომბდამშენებს იფარავენ ავიაგამანადგურებლები, რომელნიც ხელს უწყობენ ჩვენი ჯარების შეტევითს ოპერაციებს. ბელორუსიის ფრონტის გაზეთ „სტალინსკი სოკოლის" კორესპონდენტის ცნობით, ამ უკანასკნელ დღეებში განსაკუთრებით ინტენსიურად მუშაობდნენ კომაროვის ნაწილის მფრინავები, მათ შორის გვარდიის ლეიტენანტი თვაური. ლეიტენანტი თვაური ორჯერ გაფრინდა, როგორც ჯგუფის წამყვანი, მრავალჯერ მიიტანა იერიში მტრის ცეცხლით პოზიციებზე, ბლინდაჟებზე, სანგრებზე.

ზ. ქარა-მურზა

დეპეშები

ბულგარეთის მმართველი წრეების ხრიკების გამოაშკარავება

სტამბოლი, 4 თებერვალი (საკდესი). ბულგარეთის „სახალხო კრების" ამ დღეებში დამთავრებული სესიის სხდომებზე პრემიერ-მინისტრი ბოჟილოვი და ბულგარეთის მმართველი წრეების სხვა წარმომადგენლები ყველაფერს აკეთებდნენ, რათა დაემტკიცებინათ ბულგარეთის საგარეო პოლიტიკის „თავდაცვითი ხასიათი" და „მშვიდობისმყოფელი" როლი ბულგარეთის საოკუპაციო ჯარებისა იუგოსლავიასა და საბერძნეთში.

მაგალითად, პრემიერ-მინისტრმა ბოჟილოვმა განაცხადა, რომ „ბულგარეთის ჯარები ოკუპირებულ ტერიტორიაზე იმიტომ კი არ იმყოფებიან, რომ დაიპყრონ ეს ტერიტორია, არამედ იმიტომ, რომ წესრიგი დაიცვან". ცანკოვი, ისევე როგორც ბულგარელ რეაქციონერთა სხვა წარმომადგენლებიც, ყოველნაირად ცდილობდა წარმოედგინა ბულგარეთის მისწრაფებანი, როგორც მშვიდობისმოყვარე მისწრაფებანი, აგრეთვე დაერწმუნებინეთ, რომ „ბულგარეთის წინაშე დგას ერთი ამოცანა — ერთიანი ბულგარეთის საზღვრების დაცვა".

ბულგარეთის მმართველთა მთელი ეს განცხადებანი, რაც, ეჭვი არ არის, გამოწვეულია იმით, რომ ომის ამბებმა ჰიტლერელებისა და მათი დამქაშებისათვის მეტად არახელსაყრელი მიმართულება მიიღო, და იმით, რომ ეს მმართველნი ისწრაფვიან შეცდომაში შეიყვანონ საკუთარი ქვეყნის მოსახლეობა და მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი, განსაცვიფრებლად ეწინააღმდეგება ფაქტებს.

როგორც აქ ცნობილი გახდა, ჰიტლერელთა ბულგარელმა თანამზრახველებმა არა თუ არ შესწყვიტეს თავიანთი ტერორისტული საქმიანობა იუგოსლავიის ტერიტორიაზე, არა თუ არ აპირებენ იქიდან წასვლას, არამედ იმას წინათ გადასწყვიტეს, რომ ბულგარეთის მთელი საოკუპაციო კორპუსის დამატებით. რომელიც გერმანელთა ნაწილებთან ერთად საომარ მოქმედებებს ეწევა იუგოსლავიაში იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის წინააღმდეგ, ბულგარელთა კიდევ ორი ახალი დივიზია გაგზავნონ იუგოსლავიაში. ჰიტლერის ბულგარელ თანამებრძოლთა ეს ახალი ყაჩაღური ნაბიჯი, რომელიც მიმართულია მამაცი იუგოსლაველი ხალხის წინააღმდეგ, კიდევ უფრო უტეხს მათ სახელს.

ბულგარეთის მმართველმა ხროვამ თავაზიანად გადასცა ბულგარეთის მთელი ტერიტორია ჰიტლერელთა ჯარების განკარგულებაში, რომელნიც ომს აწარმოებენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ბულგარეთის ნავსადგურები ბურგასი, ვარნა, რუშჩუკი და სხვ. გადაქცეულია გერმანელთა სამხედრო-საზღვაო ბაზებად და მათ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იყენებენ. ამასთან ვარნიდან ხელისუფლებამ გამოასახლა ბულგარელი მოსახლეობა, და ეს ქალაქი, რომელიც გერმანელთა არმიის სამხედრო-საზღვაო ბაზად არის გადაქცეული, ის ადგილი გახდა აგრეთვე, სადაც ხდება ყირიმიდან ევაკუირებულ გერმანელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა მასების განლაგება.

ბულგარეთის რკინიგზებს და ბულგარეთის ფლოტს, რომლებიც გერმანელთა სრულ კონტროლქვეშ იმყოფება, გადააქვთ გერმანელთა სამხედრო ტვირთი, რომელიც საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე იგზავნება. გერმანელთა არმიის განკარგულებაში არის აგრეთვე ბულგარეთის აეროდრომები, მისი სატელეფონო და სატელეგრაფო ქსელი.

გერმანელთა არმიები საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე რეგულარულად იღებენ ბულგარეთიდან სხვადასხვა სახის სურსათს და სხვა საჭირო მასალას.

რა ფასი აქვს ამის შემდეგ ჰიტლერის ბულგარელ მოამაგეთა ყალბ რწმუნებას, რომ ისინი მონაწილეობას არ იღებენ იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ აგრესიაში, არამედ მხოლოდ იმას ცდილობენ, რომ თავიანთი საზღვრები დაიცვან?

მდგომარეობა ბულგარეთში

სტამბოლი, 6 თებერვალი. (საკდესი). ბულგარეთიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ ბულგარეთის შინაპოლიტიკური მდგომარეობა უკიდურესად დაძაბულია. ამ დაძაბულობის ერთ-ერთ გამოვლინებას ის წარმოადგენს, რომ ამ უკანასკნელ დღეებში ბულგარეთის მთავრობამ გამოიტანა გადაწყვეტილება ეგრეთწოდებული სახელმწიფო ჟანდარმერიის მოწყობის შესახებ. ჟანდარმერიის უფროსი დაექვემდებარება უშუალოდ შინაგან საქმეთა მინისტრს. ჟანდარმერიაში ქვეითი ჯარისა და ცხენოსნებთან ერთად შევლენ აგრეთვე მოტორიზებული ნაწილები. მის პირად შემადგენლობას ადგენენ პოლიციისა და არმიის ნაწილების თანამდებობის პირთაგან. ჟანდარმერიის დანიშნულება იქნება აჯანყებათა და დემონსტრაციების ჩაქრობა და ბრძოლა პარტიზანული მოძრაობის წინააღმდეგ.

25 იანვარს დამთავრდა საოლქო უფროსთა (გუბერნატორთა) თათბირი, რომელზედაც შინაგან საქმეთა მინისტრი გამოვიდა ბრძანებით „დაუნდობლად გაუსწორდნენ ყველას, ვინც დამარცხების მომხრეა და ხმებს ავრცელებს".

მთავრობა არ ერიდება იმას, რომ სოფიიდან გადაასახლოს ოპოზიციის თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწეები. კერძოდ, ამ დღეებში დედაქალაქიდან ქალაქ სვიშტოვში გადაასახლეს მიწათმოქმედთა ლიდერი ნიკოლა პეტკოვი.

მმართველი წრეების შეშფოთება სახალხო მღელვარებისა და მასობრივ გამოსვლათა პერსპექტივის წინაშე და პოლიციის გაცხარებული მზადება არ სპობს სახელმწიფო აპარატის უკიდურეს დეზორგანიზაციას, რაც არის შედეგი დედაქალაქის საჰაერო დაბომბვისა, რომელიც 10 იანვარს მოხდა. სოფიიდან გაიქცნენ არა მარტო უმაღლესი სახელმწიფო მოხელეები, არამედ გენერალიტეტის თვალსაჩინო წარმომადგენლებიც. კერძოდ, სულ ამ უკანასკნელ ხანამდე არ არის გამორკვეული, თუ სად დაიმალნენ გენერალი ნიკიფოროვი და გენერალი ვიდევი. გაიქცა აგრეთვე სოფიის ოლქის პოლიციის უფროსი გენერალი გერჯიკოვიც. ხელისუფლებამ უკიდურესი უსუსურობა და უთაობა გამოიჩინა დაბომბვის შედეგად დანგრეული შენობების გათხრის მოწყობის დროსაც. უჩქარებლობის გამო ნანგრევებში დაიღუპა მრავალი ადამიანი, რომელთა გადარჩენაც შეიძლებოდა სხვა პირობებში.

ბულგარეთის რკინიგზებზე შემოღებულია ახალი განრიგება. საქმეში ჩახედულ წრეებში განრიგების შეცვლას უკავშირებენ მისწრაფებას უზრუნველყოფილ იქნას გერმანელთა ჯარის ნაწილების გადმოყვანა რუმინეთიდან ბულგარეთში.

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 6 თებერვალი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ 5 თებერვალს ღამით „მოსკიტო" ბომბდამშენებმა იერიში მიიტანეს სამხედრო ობიექტებზე ბერლინში და დასავლეთ გერმანიაში.

ლონდონი, 7 თებერვალი (საკდესი). ლონდონში გამოცხადებულია, რომ 6 თებერვალს დღისით ამერიკის მძიმე ბომბდამშენთა შენაერთი თავს დაესხა გერმანელთა აეროდრომებს საფრანგეთში და სამხედრო ობიექტებს პა-დე-კალეს რაიონში.

ამერიკის საშუალო ბომბდამშენები თავს დაესხნენ აეროდრომებს და სხვა სამხედრო ობიექტებს ჩრდილოეთ საფრანგეთში.

სხვა ცნობაში აღნიშნულია, რომ 7 თებერვალს მოკავშირეთა ავიაციამ იერიში მიიტანა მთელ რიგ ობიექტებზე ჩრდილოეთ საფრანგეთში.

ამერიკის ჯარების ოპერაციები მარშალის კუნძულებზე

ნიუ-იორკი, 6 თებერვალი (საკდესი). როგორც ამერიკის შეერთებული შტატების წყნარი ოკეანის ფლოტის სარდლობა იუწყება, ამერიკის ჯარებმა სავსებით დაიკავეს კუნძულები კვადიელინი, ლოი და ებეი.

საომარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 6 თებერვალი (საკდესი). მოკავშირეთა ჩრდილოეთ აფრიკის ჯარების შტაბი იუწყება, რომ კასინოს ქუჩებში და ამ ქალაქის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე მთებში გაფთრებული ბრძოლები სწარმოებს. ამ სექტორში ამერიკის მეხუთე არმიის ნაწილებზე რამდენჯერმე მიიტანეს კონტრიერიში, მაგრამ ეს ნაწილები წინსვლას განაგრძობენ. ანციოს რაიონში მოკავშირეთა ჯარებმა პოზიციები გააუმჯობესეს და გაამაგრეს. ინგლისის მერვე არმიის ნაწილები აქტიურ საზვერავ მოქმედებას ეწეოდნენ ფრონტის მთელ მანძილზე.

ლონდონი, 7 თებერვალი (საკდესი). იტალიაში მყოფი მოკავშირეთა ჯარების მთავარი ბანაკი იუწყება, რომ ამერიკის მეხუთე არმიის მთავარ ფრონტზე კასინოს სექტორში გაფთრებული ბრძოლა გრძელდება. ქალაქის ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით განხორციელებულია წინსვლა. ფრონტზე ანციოს რაიონში მეხუთე არმიის ამერიკელთა და ინგლისელთა ნაწილებმა მოწინააღმდეგის ძლიერი კონტრიერიშები მოიგერიეს და მრავალი ტყვე წამოიყვანეს. ინგლისის მერვე არმიის ნაწილებმა წინ წაიწიეს და დაიკავეს დასახლებული პუნქტები პიცოფერატო და მონტენეროდომო (კიეტის ოლქის მთებში).

მოკავშირეთა ბომბდამშენმა ავიაციამ გუშინ იერიში მიიტანა მოწინააღმდეგის სამხედრო ობიექტებზე იტალიაში.

ბრძოლა შვეიცარიისა და გერმანიის თვითმფრინავებს შორის

ლონდონი, 6 თებერვალი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ შვეიცარიის რადიომ 6 თებერვალს საღამოს შემდეგი ოფიციალური განცხადება გადასცა: „დღეს საღამოს ადოლფენის რაიონში ხანმოკლე ბრძოლა მოხდა შვეიცარიის თავდაცვის ესკადრილიასა და გერმანიის თვითმფრინავს შორის, რომელმაც ჩვენი საზღვარი დაარღვია. გერმანიის თვითმფრინავმა ავარია განიცადა, მაგრამ მოახერხა გერმანიის ტერიტორიაზე დაბრუნება".

ჰიტლერელები გერმანიაში მიერეკებიან საბჭოთა ესტონეთის მოსახლეობას

სტოკჰოლმი, 6 თებერვალი (საკდესი). შვედური პრესა იუწყება, რომ გერმანელები ძალად ერეკებიან ესტონეთის მოსახლეობას მათი სახლებიდან და გერმანიაში ჰგზავნიან. ტალინში შემოღებულია საგანგებო წესები. თუ სპეციალური ნებართვა არა აქვს, არავის არ შეუძლია დასტოვოს ქალაქი ან ჩავიდეს ამ ქალაქში. ყველა გზა შეკრულია. რკინიგზით კერძო მიმოსვლა სავსებით შეწყვეტილია.

გერმანელთა საოკუპაციო ხელისუფლების ბრძანებით ხდება ესტონეთის მთელი სამოქალაქო მოსახლეობის იძულებითი ევაკუაცია.

„პერიკოლა" თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში. სურათზე მსახიობები როლებში: გ. გოგიჩაძე (მეფე), ბ. კრავეიშვილი (პიკილო), ნ. ხარაძე (პერიკოლა), ვ. კანდელაკი (დონ-პედრო).

„პერიკოლა"

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში

„ბოშათა ბარონის" შემდეგ ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს უჩვენა ოპერეტა — ოფენბახის „პერიკოლა". სპექტაკლმა დიდძალი მაყურებელი მიიზიდა.

„პერიკოლას" სპექტაკლი თბილისის თეატრში, როგორც თვით დამდგმელმა ვლ. კანდელაკმა განაცხადა, არ არის ორიგინალური შემოქმედების ნაყოფი. იგი წარმოადგენს ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს მიერ 20 წლის წინათ განხორციელებული დადგმის თბილისის საოპერო სცენაზე გადმოტანის ცდას. სპექტაკლი მთლიანად კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს, მიუხედავად იმისა, რომ უფრო ოპერული იერი ახასიათებს, ვიდრე ოპერეტული. თავისებური სპეციფიკა, რაც ოპერეტას, როგორც ჟანრს, განასხვავებს ოპერისაგან, „პერიკოლას" სპექტაკლში გაუბედავად არის მოცემული. ჩვენ არ ვეთანხმებით იმ აზრს, რომ საჭიროა კლასიკური ოპერეტების „თანდათან გამოტანა არქივიდან და საოპერო თეატრის რეპერტუარში შეტანა". არა იმიტომ, რომ ეს „შელახავს ტრადიციული საოპერო ხელოვნების პრესტიჟს", არამედ იმიტომ, რომ, ერთის მხრივ, აცდენს ოპერის თეატრს მისი პირდაპირი დანიშნულების გზას და, მეორე მხრივ, ოპერის თეატრს არ შეუძლია ოპერეტის ოპერეტულად დადგმა, ე. ი. ჟანრის სპეციფიკურობის შენარჩუნება.

„პერიკოლა" ოპერის თეატრში მხიარული, ხალისიანი სპექტაკლია. ოპერის მსახიობები ამ სპექტაკლში ალაპარაკდნენ და შესძლეს ტექსტის მაყურებლამდე მიტანა. მაგრამ ყველა სცენა ერთგვარი სიძლიერით და სისწორით არ არის გახსნილი. მელოდრამატიული სცენები სუსტია, რადგან უადგილო ადგილას ხაზგასმული ხუმრობანი შთაბეჭდილებას ანელებენ. ამის საუკეთესო ნიმუშია ფინალში სიმღერა „ჩიტები". ოფენბახი ამ სცენაში გვაძლევს მელოდრამატიულ სურათს, რომელმაც გულისაჩუყება უნდა გამოიწვიოს მაყურებელში. „ჩიტებმა" ისე მოალბო კერპი მეფე, რომ მან თავისუფლება მიანიჭა პერიკოლასა და პიკილოს. ამ სცენის შესრულებისას მელოდრამატიულობა სავსებით დაკარგულია და მეფის საქციელიც დაუსაბუთებელი რჩება.

შემსრულებელთაგან პირველ რიგში ბ. კრავეიშვილი (პიკილო) და ნ. ხარაძე (პერიკოლა) უნდა აღვნიშნოთ. კარგად მოძებნილი გარეგანი სახე მტკიცედ არის გადაჯაჭვული შინაგან გზნებასთან. ხავერდოვანი, ძლიერი ხმა სასიამოვნოს ხდის მათ თამაშს. ასევე კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს ტ. შარტადოლიძე (პერიკოლა). ვლ. კანდელაკი ორ როლს (სხვადასხვა დროს) ასრულებს: დონ-პედროს და მეფეს. ვლ. კანდელაკს ორივე როლი კარგად დაუმუშავებია. გ. გოგიჩაძე მეფის როლში სავსებით დამაკმაყოფილებელ შთაბეჭდილებას ჰქმნის. კარგი იყო ნ. ელიოზიშვილის დონ-პედრო. ყურადღება მიიპყრეს აგრეთვე შ. მამაცაშვილმა (ჰერცოგი დაკაპულკა), გ. ჭუმბურიძემ (ტერაპონტი), ი. მოლჩანოვმა (პანატელიასი), მ. სუხიშვილმა, ა. სტეფანიანმა და ფირალოვამ (სამი და), ნ. გოლუბევამ (რეგინა პრევალ). ვ. ჭაბუკიანის მიერ მშვენივრად დადგმულ ცეკვებში ყურადღებას იპყრობენ თ. ჭაბუკიანი, ვ. საფაროვა, მ. ბაუერი, ვ. ბუშინსკაია, ნ. კიკალეიშვილი.

დ. მირცხულავას დირიჟორობამ და ა. ცისევიჩის მხატვრობამ სპექტაკლის წარმატებას ხელი შეუწყო. საერთოდ სპექტაკლის მონაწილე კოლექტივმა საოპერო თეატრის პირობებში კარგად იმუშავა და დამაკმაყოფილებელ შედეგებსაც მიაღწია.

ნ. რიონელი

„ჭირვეული ცოლის მორჯულება" მარჯანიშვილის თეატრში

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი ამ დღეებში უჩვენებს მაყურებელს უ. შექსპირის ცნობილ კომედიას „ჭირვეული ცოლის მორჯულება". პიესა თარგმნილია ინგლისურიდან სიკო ფაშალიშვილის მიერ. დადგმა ეკუთვნის რესპ. სახალხო არტისტ შ. ღამბაშიძეს, მუსიკა—კომპ. ქ. მეღვინეთუხუცესს, მხატვრობა—ი. შტენბერგს.

უ. შექსპირის პიესები ხშირად იდგმებოდა მარჯანიშვილის თეატრში. კ. მარჯანიშვილმა დადგა „ვინძორის მხიარული ქალები", „ჰამლეტი", „ოტელო". მიუხედავად ამ ტრადიციისა, „ოტელოს" შემდეგ მარჯანიშვილის თეატრში შექსპირი არ დადგმულა.

„ჭირვეული ცოლის მორჯულების" იდეურ-მხატვრული გახსნისას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა იმ გარემოებას, რომ პეტრუჩიოს და კატერინას ერთმანეთი შეუყვარდათ თავიდანვე ნამდვილი სიყვარულით, თანასწორი უფლებებით და არა ბიბლიური პრინციპით, თითქოს ცოლს უნდა ეშინოდეს თავისი ქმრისა ანუ ბრმად უნდა ემორჩილებოდეს მას. როლების გახსნაში უნდა ჩანდეს ერთგვარი დაპირისპირება, რომელიც ასე ახასიათებს შექსპირს. კერძოდ, ტანისამოსი და გარეგნობა არ გამოხატავს ადამიანის შინაგან ბუნებას. ბიანკა, რომელიც ლუჩენციოს მიაჩნდა ღვთაებრივ არსებად, აღმოჩნდება საშინელი ალქაჯი. ჯიუტი, უხეში და ჭირვეული კატერინა თავისი შინაგანი ბუნებით აღმოჩნდება სათნო. აი მთავარი გასაღები, რომლითაც ხდება როლების გახსნა.

ლუჩენციოს და ბიანკას სიყვარული პიესაში მოცემულია როგორც კონტრასტი პეტრუჩიოს და კატერინას სიყვარულისა. ამ კონტრასტის მიმდინარეობის საფუძველზე უნდა გაიხსნას ყველა სახის მოქმედება პიესაში. მსახიობის მუშაობა უნდა ემყარებოდეს ინტონაციური საღებავების მრავალფეროვნებას, რომ ლექსის ფორმის შენარჩუნებით მივიღოთ დამაჯერებელი სტილის საუბარი და შევქმნათ ნამდვილი რეალისტური სპექტაკლი.

აი მოკლედ ის ხაზი, რომელიც საფუძვლად დაედება აღნიშნული პიესის დადგმას. მთავარ როლებში წარმოდგენილი არიან შემდეგი მსახიობები: კატერინა—ს. თაყაიშვილი (რესპ. დამს. არტ.), პეტრუჩიო—პ. კობახიძე (რესპ. დამს. არტ.) და გრ. კოსტავა, ბიანკა—თ. თეთრაძე და ე. ჟორდანია, ლუჩენციო—მ. მგელაძე და კობიაშვილი, გრუმიო—კ. კვანტალიანი, ტრანიო—ვ. გოძიაშვილი, შ. გოცირელი და ა. რამიშვილი, გრემიო—ს. ჟორჟოლიანი და ზედგენიშვილი, ჰორტენზიო—ალ. გომელაური და ირინაშვილი.

შ. ღამბაშიძე
რესპ. სახალხო არტისტი

„კოლომბინა"

თბილისის მუსკომედიის თეატრში

თბილისის მუსკომედიის თეატრი მაყურებელს უჩვენებს მორიგ პრემიერას — ა. რიაბოვის ოპერეტას „კოლომბინა" (ბ. გამრეკელის და დ. ძნელაძის თარგმანი). ოპერეტა დადგა ხელოვ. დამსახურებულმა მოღვაწემ დ. ძნელაძემ, მხატვრობა ი. შტენბერგისა, ცეკვები დ. მაჭავარიანისა, დირიჟორი ვ. ბარნაბელი.

მთავარ როლებში გამოდიან: კოლეტა — თ. მთვარაძე და თ. როდე-ჩიჯავაძე, ფილიპ— ა. მეწყულიშვილი და უ. სუხიშვილი, ოქტავ— დ. ესებუა და შ. ოსეფაშვილი, პიკადორ — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ბ. ჩეჩელაშვილი, კაპიტან — ნ. მოსიშვილი, ეტელკა—ნ. თულაშვილი, ვ. იანვარაშვილი და მ. ინგილო, ჟაპონე—ვ. გერსამია და შ. ტატუნაშვილი, მოცეკვავენი—ს. ვეკუა, ე. რობენი, გ. პოლოსოვი და მ. გელოისი.

ა. ჩეხოვის „სამი და"

გრიბოედოვის სახელობის თეატრში

წელს პირველ პრემიერად გრიბოედოვის თეატრი მაყურებელს უჩვენებს ა. ჩეხოვის ცნობილ პიესას „სამი და". უკვე 25 წელია თბილისში ეს პიესა არ დადგმულა, ხოლო გრიბოედოვის თეატრის პრაქტიკაში ეს ჩეხოვის პიესის დადგმის პირველი შემთხვევაა.

პიესას სდგამს რეჟისორი ა. რიდალი, მხატვრულად აფორმებს ვ. ივანოვი, მთავარ როლებს ასრულებენ: ბ. ბელეცკაია, მ. მიხურინა, ვ. ზახაროვა, კ. დობჟინსკი, დ. ივანოვი, კ. მიუფკე, ი. ოსიპოვი, ა. სმირანინი, გ. დავიდოვა, ე. კოვალსკაია, ნ. სპერანსკაია, ა. ზაგორსკი, ა. ლიპნიცკი, ბ. ფედოროვი და სხვ.

„სამი დის" პრემიერა შესდგება ოთხშაბათს, 9 თებერვალს.

ლექციები და მოხსენებები

9 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. მოლოტოვის რაიკომის პარტკაბინეტში (პლეხანოვის პრ., 83) შესდგება ამხ. კანტერის ლექცია რუსულ ენაზე. თემა: „ლენინი და სტალინი — წითელი არმიის ორგანიზატორები და ბელადები".

შესვლა თავისუფალია.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) დუშეთის რაიკომში 5 დღის ვადაში უნდა გამოცხადდნენ: ამხ. ივანე აუქსენტის-ძე ფარულავა, გიორგი ზაქარიას-ძე თინიკაშვილი, აკაკი გრიგოლის-ძე ხვანიძე.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თეატრებში

9 თებერვალს: საოპერო — „ბოშათა ბარონი". რუსთაველის — „სამშობლო". მარჯანიშვილის — „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ". სომხური — „ლურჯი მანდილი". ახუნდოვის — „ლეილი და მაჯნუნი". მუსკომედიის — „კოლომბინა". მოზარდი მაყურებლის — რუსული — „ვერაგობა და სიყვარული".

კინოებში

9 თებერვალს: რუსთაველი და ოქტომბერი —„ჯორჯი დინკი-ჯაზიდან". დამკვრელი — „შეიკის ახალი თავგადასავალი". კომკავშირელი — „ლედი ჰამილტონი". სპარტაკი — „ზეცა". ლუქსემბურგის სახ. — „სტანიცა დალნიაია". 26 კომ. სახ. — „სომხური კინო-კონცერტი" და კინო-ჟურნალი „კიევის განთავისუფლება".

საქართველოს სსრ შინსახკომის გასამხედროებული სახანძრო დაცვის თბილისის საქალაქო სამმართველო აცნობებს ქალაქის საწარმო-დაწესებულებათა ყველა ხელმძღვანელს, რომ თუ საწვავი და საპოხი მასალები გადატანილ იქნება ამ მიზნისათვის გამოუსადეგარი მანქანებით და მანქანებზე არ იქნება ხანძრის ჩასაქრობი პირველადი საშუალებანი, მანქანებს დააკავებენ და ზემოაღნიშნული წესის დამრღვევისათვის დამნაშავენი მიცემულ იქნებიან სამართალში სსრ კავშირის სახკომსაბჭოს № 1364 დადგენილების საფუძველზე.

საქ. სსრ შინსახკომის თბილისის გასამხედროებული სახანძრო დაცვის საქალაქო სამმართველო.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს,

რომ 1944 წ. 28 თებერვალს, დღის 3 საათზე, მედინსტიტუტის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქ. № 16) შესდგება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა, რომელზეც მედიცინის მეცნ. კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ:

1. ექიმი **პლატონ ერასტის-ძე ფოჩხუა** თემაზე:

„თირკმელების ფუნქციონალური უნარიანობის გამოკვლევა თანდაყოლილი ათაშანგის დროს და მისი ცვალებადობა სპეციფიკური მკურნალობის ზეგავლენით".

ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან: პროფ. ივანე შველიძე და დოც. გრ. ფხალაძე.

2. ექიმი **ლეონ გერასიმეს-ძე ისრაელიანი** თემაზე: „Физиологические даты детского возраста". ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან: მეცნ. დამსახ. მოღვაწე პროფ. ალ. ნათიშვილი და მეცნ. დამსახ. მოღვაწე პროფ. შ. უგრელიძე.

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომებს მედინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (მელიქიშვილის ქ. № 16).

დირექცია

თბილსაზკვებტრესტის ღვინის ბაზას სასწრაფოდ ესაჭიროება საწყობში უფროსი მუშები, ღვინის ჩამომსხმელები და ბოთლის მრეცხავები.

მსურველს შეუძლია მიაკითხოს ივანიძის ქ. № 19, საზკვებტრესტის კადრების განყოფილებას.

მშობლები ონისიმე, კესარია შვილებით იუწყებიან ბიჭიკო (ბიძინა) გიორგობიანის გარდაცვალებას. გამოსვ. 8/II, 4 ს. განათლების, 6.

135

№ ჰოსპიტლის კოლექტივი იუწყება მ. კუპაიძის შვილის მარინე კუპაიძის გარდაცვალებას. გამოსვ. 8/II, 5 ს. ლენინის, 16.

დიდი რუსი ქიმიკოსი

(110 წელი დ. ი. მენდელეევის დაბადებიდან)

მსოფლიო სახელის მქონე დიდი რუსი მეცნიერი დიმიტრი ივანეს-ძე მენდელეევი (1834-1907) სამეცნიერო და სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებში. ეს იყო ქიმიური მეცნიერების აყვავების ხანა.

დ. მენდელეევმა დაამთავრა პეტერბურგის მთავარი პედაგოგიური ინსტიტუტი და კითხულობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში ლექციებს თეორიულსა და ორგანიულ ქიმიაში. ორი წლის განმავლობაში ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში იყო მივლინებული, სადაც ჯერ გ. ბუნზენის და შემდეგ საკუთარ ლაბორატორიაში მუშაობდა. საზღვარგარეთ მივლინების შემდეგ ისევ პეტერბურგის უნივერსიტეტში დაბრუნდა, სადაც 33 წლის განმავლობაში მოღვაწეობდა. 1890 წელს განათლების მინისტრს სტუდენტების განცხადება წარუდგინა, რისთვისაც გაკიცხვა მიიღო. შეურაცხყოფილმა მეცნიერმა დემონსტრატიულად დასტოვა უნივერსიტეტი.

უნივერსიტეტის შემდეგ იგი მუშაობდა ახალი საბაჟო ტარიფის შემდგენელ სახელმწიფო კომისიაში. 1893 წ. დაინიშნა ზომა-წონის პალატის ხელმძღვანელად. ამ თანამდებობაზე იგი მუშაობდა გარდაცვალებამდე.

დ. ი. მენდელეევი ქიმიით ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დაინტერესდა. პედაგოგიურ ინსტიტუტში მეცადინეობის დროს გამოაქვეყნა ნაშრომი „ფინიტის ორტიტისა და პიროქსენის ანალიზის შესახებ". კურსის დამთავრებისას დაიცვა დისერტაცია: „იზომორფიზმის შესახებ ფორმის და შემადგენლობის სხვა დამოკიდებულებასთან დაკავშირებით". ამის შემდეგ მან მრავალი მეცნიერული შრომა გამოაქვეყნა როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ ქიმიასა და მეცნიერების სხვა დარგებში. მას ეკუთვნის კაპიტალური ნაშრომი — სახელმძღვანელო „ქიმიის საფუძვლები", რომლის შესახებ თვით დ. მენდელეევი სწერდა: „ეს „საფუძვლები" ჩემი პირმშო შვილია. მასშია ჩემი სახე, ჩემი პედაგოგიური გამოცდილება და ჩემი გულითადი მეცნიერული აზრი".

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს დ. ი. მენდელეევის მიერ ქიმიური ელემენტების პერიოდული კანონის აღმოჩენას. აღმოჩენილი კანონი დ. ი. მენდელეევმა ასე ჩამოაყალიბა: „ელემენტების თვისება (და, მაშასადამე, მათგან შედგენილი მარტივი და რთული სხეულებისაც) პერიოდულ დამოკიდებულებაშია მათ ატომურ წონასთან". ხვედრითი წონის მიხედვით დ. ი. მენდელეევმა დაალაგა ყველა ელემენტი ერთი მთლიანი სისტემით. ამ სისტემაში ბევრი ცარიელი ადგილი აღმოჩნდა. გენიალურმა მეცნიერმა წინასწარ გამოიანგარიშა ზოგიერთი, მაშინ კიდევ ბუნებაში უცნობი ელემენტების თვისებები და ხვედრითი წონა. აღნიშნული ელემენტები მალე მართლაც აღმოჩენილ იქნა მეცნიერების მიერ.

ამ აღმოჩენამ ისეთი ცვლილებები შეიტანა ქიმიურ მეცნიერებაში, როგორიც ამ მეცნიერებას არ განუცდია ლავუაზიეს და დალტონის შემდეგ. ფრ. ენგელსი დ. ი. მენდელეევის ამ აღმოჩენის შესახებ აღნიშნავს, რომ „მენდელეევმა შეუგნებლად იხმარა ჰეგელის კანონი რაოდენობის გადასვლისა თვისებაში და ამ კანონის შემოწმებით ჩაიდინა ის დიდი მეცნიერული გმირობა, რომელიც თავისი მნიშვნელობით შეიძლება დავაყენოთ ლევერიეს გამოგონების გვერდით, რომელმაც გამოიანგარიშა ჯერ კიდევ უცნობი პლანეტის — ნეპტუნის ორბიტი".

დ. ი. მენდელეევი არ ეკუთვნოდა „კაბინეტურ" მეცნიერთა რიცხვს. იგი ცდილობდა ყოველი ახალი მეცნიერული აღმოჩენა დაენერგა პრაქტიკაში. მხცოვანი მეცნიერი დაინტერესებული იყო სამშობლოს საწარმოო ძალთა განვითარებით. მან შეისწავლა ბაქოს ნავთის და დონეცის ქვანახშირის მრეწველობა და გამოაქვეყნა საინტერესო ნაშრომები. 1876 წელს მან იმგზავრა ამერიკაში, გაეცნო ნავთის მრეწველობას პენსილვანიაში, რის შემდეგ კვლავ ეწვია ბაქოს მოწინავე მეცნიერების მიღწევის დასანერგავად ნავთის მრეწველობაში. ნავთის მრეწველობის დარგში კი დ. ი. მენდელეევს დიდი ღვაწლი მიუძღვის. იგი შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებდა მაშინდელ ნავთის მრეწველებთან ბაქო-ბათუმის ნავთსადენის გაყვანისათვის. მან დიდი ამაგი დასდო აგრეთვე ურალის და საერთოდ ქიმიურ-მეტალურგიული მრეწველობის განვითარების საქმეს.

მრავალფეროვანი იყო დ. ი. მენდელეევის ინტერესთა სფერო. მან დაამუშავა ახალი საბაჟო ტარიფი, გამოიგონა უკვამლო დენთი, 1887 წელს აეროსტატით აფრინდა მზის დაბნელებაზე დაკვირვების საწარმოებლად, დააყენა ქვანახშირის გაზიფიკაციის საკითხი, იწინასწარმეტყველა ნახშირის გამოყენება ფხვნილის სახით, ოცნებობდა ყინულოვანი ოკეანის ყინულების დამარცხებაზე, დონეცის, ყარაგანდისა და კუზნეცკის ბასეინების მადნეულობის გამოყენებაზე. მაგრამ ყველა ეს ბრწყინვალე გეგმები ცარიზმის პირობებში განუხორციელებელი რჩებოდა. მენდელეევის მრავალი გეგმა, შესანიშნავი იდეები რუსეთის საწარმოო ძალთა განვითარების შესახებ მხცოვანი მეცნიერის ოცნებად დარჩა და განხორციელდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს.

გენიალური მეცნიერი დ. ი. მენდელეევი წევრი იყო ლონდონის, რომის, პარიზის და მრავალი სხვა აკადემიისა.

დიდი რუსი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე დ. ი. მენდელეევი თავისი მეცნიერული და საზოგადოებრივი ინტერესების მრავალფეროვნებითა და გაქანებით ეკუთვნოდა ლომონოსოვის ტიპის უნივერსალურ მოღვაწეთა რიცხვს. მის მიერ აღმოჩენილი ბევრი კანონი ახლაც საფუძვლად უდევს ქიმიურ მეცნიერებას.

ი. ჟორჟოლიანი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის—3-62-26, პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილის—3-63-08, პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოს—3-06-88, განყოფილებებისა: პარტიულისა და პროპაგანდის—3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, სამხედრო, განათლება-ჯანმრთელობის, ლიტერატურისა და ხელოვნების—3-80-84, წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

ტირაჟი 91.800

უე 00046